

ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ

(განაცხადი N30743/09)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2017 წლის 21 სექტემბერი

ფაქტები: განმცხადებელი, გვანცა ყუფარაძე, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1992 წელს და ცხოვრობს თბილისში. საქმე ეხებოდა განმცხადებლის საჩივარს ეროვნული სასამართლოების წინაშე მის წინააღმდეგ სამართალწარმოების არასამართლიანობის შესახებ; ქ-ნი ყუფარაძე სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ასევე ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს. 2006 წლის ნოემბერში ქ-ნი ყუფარაძე დააპატიმრეს ერთ-ერთი მისი თანაკლასელის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდების საფუძველზე. სამართალწარმოების დროს ის ამტკიცებდა, რომ დაზარალებული ორი დანის გამოყენებით დაჭრა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლებიც სკოლის ეზოში შეიპარა და თავს დაესხა დაზარალებულს. თუმცა, დაზარალებულის განცხადებით, მას თავს დაესხა განმცხადებელი, რომელმაც ხელები გაუკავა და შემდეგ რამდენჯერმე დანა ჩაარტყა. დაზარალებულმა მოახერხა სკოლის საკალათბურთო მოედანზე გაქცევა, სადაც შემდეგში ის იპოვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. 2007 წლის ივნისში პირველი ინსტანციის სასამართლომ ქ-ნი ყუფარაძე დამნაშავედ ცნო. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა დაზარალებულის ჩვენებებსა და სასამართლო ექსპერტიზის რამდენიმე დასკვნას (მათ შორის იყო დასკვნა, რომლითაც დგინდებოდა, რომ მსხვერპლის ტანსაცმლის ქსოვილი ქ-ნი ყუფარაძის ტანსაცმელზე იქნა აღმოჩენილი). განმცხადებელს ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, აქედან ხუთი წელი პირობითი მსჯავრი იყო. აპლიკანტმა გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც წარადგინა ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით დაზარალებულის მიმართ გამოყენებულ იქნა არა ერთი, როგორც ამტკიცებდა დაზარალებული, არამედ ორი დანა. 2007 წლის დეკემბერში სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნები და მიიჩნია, რომ ისინი სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. 2008 წლის სექტემბერში უზენაესმა სასამართლომ, საქმის არსებითი მხარის განხილვის გარეშე,

არ დააკმაყოფილა სამართლის საკითხებთან დაკავშირებული განმცხადებლის საჩივარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს. გარდა ამისა, აპლიკანტი კონვენციის 6.1 და 6.3 („დ“) მუხლზე დაყრდნობით ჩიოდა, რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის ადეკვატურად შეუფასებლობით, სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო გამამტყუნებელი განაჩენის სათანადო დასაბუთება, რამაც სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება უკანონოდ აქცია. განმცხადებელი დამატებით დავობდა, რომ დაერღვა სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა განეხილა საქმის არსებითი მხარე.

სასამართლოს შეფასება:

კონვენციის მე-3 მუხლის საგარეუდო დარღვევა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის დაკავების პირობები არღვევდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლს. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულების ერთმანეთისგან განცალკევების მიზნით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის დამნაშავეებისთვის შექმნილიყო განცალკევებული დაკავების იზოლატორი, ეროვნულ დონეზე აპლიკანტის საჩივრის არსი უკავშირდებოდა მისი სასჯელის გადავადებას იმ დრომდე, სანამ არ აშენდებოდა არასრულწლოვნებისთვის ცალკე გამოყოფილი დაკავების იზოლატორი. ვინაიდან განმცხადებელი ასაჩივრებდა ხელისუფლების უარს, გაეთავისუფლებინა იგი ზემოხსენებული იზოლატორის აშენებამდე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ვერ განიმარტებოდა იმგვარად, რომ ის ადგენდა დაკავებულის გათავისუფლების ზოგად ვალდებულებას (see, *mutatis mutandis*, Kudła, cited above, § 93). გარდა ამისა, კონვენცია არ უკრძალავს ხელშემკვრელ მხარეებს არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ (see, *mutatis mutandis*, *T. v. the United Kingdom* [GC], no. [24724/94](#), § 97, 16 December 1999). ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ იმ დროს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები ითვალისწინებდა გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობას იმასთან

მიმართებით თუ რამდენად იქნებოდა სისრულეში მოყვანილი მსჯავრდებული არასრულწლოვნების განცალკევება სრულწლოვანი პატიმრებისგან; ეს მიდგომა ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც არასრულწლოვან დამნაშავეებს ათავსებდნენ დაწესებულების ცალკეულ ნაწილებში, რომლებიც განკუთვნილი იყო ზრდასრული პატიმრებისთვის. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებლის საჩივრის საწინააღმდეგოდ, აღსანიშნავია, რომ მისი მოთავსება სასჯელაღსრულების იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილი იყო ზრდასრული პატიმრებისთვის, თავისთავად, არ წარმოშობს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საკითხს. შესაბამისად, სასამართლომ შეაფასა მდებარეობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ნაწილში პატიმრობის პირობები, მთლიანობაში აღებული, რამდენად თანხვედრაში იყო კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს ვალდებულებასთან - პატიმარი ადამიანის ღირსების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფს. „პატიმრობის აღსრულების მანერა და მეთოდი არ უნდა აყენებდეს მას მძიმე ან აუტანელ მდგომარეობაში და მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არ უნდა აყენებდეს მას მძიმე ან აუტანელ მდგომარეობაში და მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, სხვებს შორის, შესაბამისი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით, სათანადოდ უნდა იყოს დაცული (see *Kudła*, cited above, § 94)“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. ქ-ნმა ყუფარაძემ სასამართლოს განუცხადა, რომ მთლიანად ჩამოერთვა ყოველდღიური გასეირნების უფლება. თუმცა, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აპლიკანტმა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს საპირისპირო ჩვენება მისცა. ანალოგიურად, აპლიკანტის ერთ-ერთი საჩივარი, რომელიც ეხებოდა პირსაბანის გაფუჭების გამო საკანში ჰაერის ტენიანობის დარღვევას, დროებითი პრობლემა აღმოჩნდა. გარდა ამისა, განმცხადებლის საჩივარი საკანში პირადი სივრცის ნაკლებობასთან დაკავშირებით, არ წარმოშობდა კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს, ვინაიდან დაახლოებით 12-15 კვ.მ. საკანს მაქსიმუმ 3 არასრულწლოვანი, მათ შორის, აპლიკანტი იყოფდა, შესაბამისად, მას რჩებოდა არანაკლებ 4 კვადრატული მეტრი პირადი სივრცისთვის. განმცხადებლის პატიმრობის საერთო პირობების შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ არასრულწლოვან პატიმრებს თავისუფლად შეეძლოთ დაწესებულების ფსიქოლოგებთან კონსულტაციის გავლა და შხაპის მიღება, ასევე განათლების გაგრძელება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის საჩივარი N5 ციხის გადატვირთულობისა და საკანში მოზრდილებთან ერთად ყოფნის თაობაზე არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით და შეუსაბამობაში მოდიოდა როგორც თვითონ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან იმის შესახებ, რომ იგი ხუთი თვის განმავლობაში საკანში მარტო იმყოფებოდა, ასევე სახალხო დამცველის მიერ პატიმრობის პირობების აღწერილობასთან. სასამართლო შენიშნავს რა რომ ამ კუთხით საჩივარი არ იყო დასაბუთებული, გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დაადგენს, რომ ციხეში არსებობდა აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული პირობები. და ბოლოს, ვენტილაციის გაუმართავი სისტემის გასაჩივრებისას, განმცხადებელს არ წარმოუდგენია დეტალები პრობლემის სერიოზულობის ან ხანგრძლივობის შესახებ.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე სიტუაციის სიმძიმის განსაზღვრის მიზნით, ის განმცხადებლისგან ელის კონკრეტული მაგალითების მიწოდებას, როგორც გასაჩივრებული დროის პერიოდის, ასევე მსგავსი პირობების ხანგრძლივობის თაობაზე. ამ ინფორმაციის არარსებობის პირობებში, რომც ჩაითვალოს, რომ ციხის ვენტილაციის სისტემა გაუმართავი იყო, მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სამართალწარმოების სამართლიანობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *მორერა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [დიდი პალატა] №19867/12, § 83, ECHR 2017*, შეაჯამა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად წარმოქმნილ უსამართლობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები:

„ (ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მიერ სამართლის საკითხებთან ან ფაქტებთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების შეფასება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული შეცდომები არღვევს კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგალითად, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შეცდომამ კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ სამართალწარმოება „არასამართლიანად“ აქცია.

(ბ) კონვენციის 6.1 მუხლი არ ადგენს წესებს მტკიცებულების დასაშვებობის ან იმის შესახებ თუ როგორ უნდა იქნეს განხილული წარდგენილი მტკიცებულება; ეს პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოების შეფასების საგანია. როგორც წესი, ისეთი საკითხები, როგორცაა ეროვნული სასამართლოების მიერ კონკრეტული მტკიცებულებებისთვის ან დასკვნებისთვის მინიჭებული მნიშვნელობა არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო და შესაბამისად, მე-6 მუხლის საფუძველზე ის ეჭვქვეშ არ აყენებს ეროვნული სასამართლოების შეფასებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი დასკვნები თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელია...”

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ჯეროვნად აღსრულებასთან დაკავშირებით დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლოსა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები უნდა მოიცავდეს მიზეზებს, რომელთა საფუძველზეც იქნა ის მიღებული. გადაწყვეტილების მიღების საფუძველების მითითების ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებების გათვალისწინებით (*იხ. Ruiz v. Spain [GC], № 30544/96, § 26, ECHR 1999-I*). **სასამართლოებს არ მოეთხოვებათ წარადგინონ განმცხადებლის თითოეულ არგუმენტზე პასუხი; ეს ვალდებულება გულისხმობს, რომ სასამართლო პროცესის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ კონკრეტული და მკაფიო პასუხები იმ არგუმენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართალწარმოების შედეგისთვის** (*იხ. Moreira Ferreira, § 84; აგრეთვე, Tchankotadze v. Georgia, № 15256/05, § 103, 2016 წლის 21 ივნისი, და Deryan v. Turkey, № 41721/04, § 33, 2015 წლის 21 ივლისი*).

გამომდინარე იქედან, რომ განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა მტკიცებულებათა და ეროვნული საქმის წარმოების შედეგების შეფასებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით მისი ვალდებულებაა, უზრუნველყოს, რომ კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ასრულებენ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებებს. მის ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების შეფასება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამან გამოიწვია კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა (*იხ. García Ruiz, § 28*).

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, რომელიც ეხება აპლიკანტის მიერ მოვლენათა განვითარების შესახებ მისი ვერსიის

გასამყარებლად წარდგენილი ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის უარყოფას, ღიაა გარკვეული კრიტიკისთვის; განსაკუთრებით, ის მოსაზრება, რომ დასკვნები არ იყო გაჯერებული საკმარისი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საწინააღმდეგო მტკიცებულებები. თუმცა, გადაწყვეტილების საფუძვლები მკაფიოდ ცხადყოფდა, რომ სააპელაციო სასამართლომ, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, შეაფასა დასკვნებში მოცემული ძირითადი მოსაზრებები. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განიხილა ალტერნატიული დასკვნები და მიიჩნია, რომ მასში მოცემული დასკვნები სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის მე-6 ნაწილის მნიშვნელობის ფარგლებში ღირებული არ იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება- უარი ეთქვა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის გაზიარებაზე, იმდენად დაუსაბუთებელი იყო, რომ არღვევდა სამართალწარმოების სამართლიანობას.

უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ უპასუხა განმცხადებლის არგუმენტს იმის შესახებ, რომ დაზარალებული ცემა და დაჭრა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა და დაადგინა, რომ აღნიშნული ჩვენება დაუდასტურებელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დასკვნაში არ იყო მოცემული ცემის ფიზიკური ნიშნები. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა მტკიცებულებებს, რომლებიც შეფასდა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს; აღნიშნული მტკიცებულებები მოიცავდა ექსპერტის დასკვნას, რომლის ავთენტურობა და სიზუსტე სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე სადავო არ გამხდარა.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოების წინაშე განმცხადებლის საქმე განხილულ იქნა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, არც როგორც ცალკე აღებულის და არც კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

რამდენადაც განმცხადებელი ასაჩივრებს უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უარის თქმას, ადამიანის უფლებათა სასამართლო აღნიშნავს,

რომ „სასამართლოს უფლება“, რომლის ერთ-ერთი ასპექტიც არის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, არ არის აბსოლუტური უფლება; აღნიშნული უფლება ექვემდებარება შეზღუდვებს, კერძოდ, როდესაც გამოიყენება საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები, ვინაიდან მოცემული საკითხის მოწესრიგება სახელმწიფოს რეგულირების საგანს წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით შეფასების ფართო ფარგლებით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, უფლების შეზღუდვამ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა არ უნდა შეზღუდოს ან შეამციროს იმ მასშტაბით, რომ დაირღვეს უფლების არსი; და ბოლოს, ასეთი შეზღუდვები არ შეესაბამება კონვენციის 6.1 მუხლს თუ ის არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ან თუ არ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ ღონისძიებებსა და მისაღწევ მიზანს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ სამართლის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოში წარდგენილ საჩივრებთან მიმართებით დასაშვებობის კრიტერიუმების დანერგვა და გამოყენება ემსახურება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, განსხვავებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებისგან, არ ახდენს საქმის სრულ განხილვას, როგორცაა ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება; უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა შეზღუდულია გარკვეული სამართლებრივი საკითხებით. ასეთ ვითარებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - უარი ეთქვა აპლიკანტის საჩივრის განხილვაზე, მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული იყო. უფრო მეტიც, რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, როდესაც საკასაციო სასამართლო უარს აცხადებს საქმის განხილვაზე, იმ საფუძველით რომ არ არსებობს საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძვლები, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მცირე დასაბუთებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე უარის თქმის გამო, კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.